პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

გადაწყვეტილება №გ-1/101/2015

ნ.ქ-ს განცხადებასთან დაკავშირებული განხილვის დასრულების შესახებ

ქ. თბილისი **22/07/2015**

განმცხადებელი - ნ.ქ

მოთხოვნა - კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორის“ ხელმძღვანელის და გაზეთ „X“-ის მიმართ, რათა აღდგეს განმცხადებლის დარღვეული უფლებები.

აღწერილობითი ნაწილი

ნ.ქ-მ 2015 წლის აპრილში განცხადებით მომართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს და მოითხოვა კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება ორგანიზაცია „მედიატორის“ ხელმძღვანელის და გაზეთ „X“-ის მიმართ, რათა აღდგეს მისი დარღვეული უფლებები.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, 2015 წლის გაზაფხულზე გაზეთ „X“-ის ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ ორგანიზაცია „მედიატორის“ ხელმძღვანელთან, სადაც ის აცხადებს, რომ ნ.ქ მხილებულია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში, აღნიშნულის დასადასტურებლად კი უთითებს თბილისის საქალაქო სასამართლოდან ნ.ქ-ს სახელზე გამოთხოვილ განაჩენს. მისი მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ განაჩენის ასლი დაშტრიხული სახით მიიღო, ის სწორედ განმცხადებლის მიერ დანაშაულის ჩადენას უკავშირდება.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ინსპექტორის აპარატში განცხადების წარდგენისას იგი ადგილობრივ თვითმმართველობაში იკავებს საჯარო მოსამსახურის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციას, ხოლო საგაზეთო ინტერვიუში მითითებული ფაქტები არ შეესაბამება სინამდვილეს, ემსახურება მისი სახელის დისკრედიტაციას და უხეშად არღვევს მის უფლებებს. ის არ ყოფილა ნასამართლევი და თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჯაროებული განაჩენი ეხება სხვა ადამიანს. გასაჯაროებულ განაჩენში დაშტრიხვის გამო იკითხება მხოლოდ პირის სახელის, მამის სახელის და გვარის ინიციალები, კერძოდ ნ.ქ.- ს-

ძე. განაჩენში, ასევე მითითებულია პირის დაბადების თვე და საცხოვრებელი მისამართი რაიონულ დონეზე. განმცხადებლის მითითებით, მამის სახელის ინიციალი, დაბადების თვე და საცხოვრებელი მისამართი რაიონულ დონეზე, არ ემთხვევა მის მონაცემებს.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი იქნა ასლების სახით: გაზეთ „X“-ის 2015 წლის გაზაფხულზე ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილი ინტერვიუ, სისხლის სამართლის №X/XXXX საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის განაჩენი, ასევე სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ 2014 წელს ნასამართლეობის არქონის შესახებ გაცემული ცნობა.

2015 წლის გაზაფხულზე გაზეთ „X“-ის ერთ-ერთ ნომერში ორგანიზაცია „მედიატორის“ ხელმძღვანელი ინტერვიუში უთითებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურე ნ.ქ. ნასამართლევია ჯგუფური გაუპატიურებისათვის. აღნიშნულის დასტურად მითითებულია, რომ ორგანიზაცია „მედიატორმა“ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ნ.ქ-ს სახელზე სასამართლოს განაჩენის გამოთხოვის მოთხოვნით, რის საპასუხოდაც, სასამართლომ გასცა განაჩენის ასლი, რომელშიც მაიდენტიფიცირებელი მონაცემები არის დაშტრიხული.

განმცხადებელმა ინსპექტორის აპარატში წარმოადგინა 2014 წელს გაცემული ცნობა ნასამართლობის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით მოქალაქე ნ.ქ. დაბადებული 19XX წლის XX მაისს, მცხოვრები: თბილისი, XXXXXXXXXXXXXX არ არის ნასამართლევი და არ იმყოფება ძებნაში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2015 წლის 27 აპრილის №გ-1/031/2015 გადაწყვეტილების საფუძველზე განსახილველად იქნა მიღებული ნ.ქ-ს განცხადება, ხოლო განცხადებაში მითითებული გარემოებების შესწავლის მიზნით კი გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ა(ა)იპ „მონიტორინგის ცენტრი - მედიატორისაგან“ (შემდგომში - ორგანიზაცია).

ა(ა)იპ „მონიტორინგის ცენტრი - მედიატორის“ მიერ ინსპექტორის აპარატში წარმოდგენილ საპასუხო წერილში აღნიშნულია, რომ ინტერვიუ ჩაწერილია ორგანიზაციის დამფუძნებელთან, რომელიც სტატიაში საუბრობდა ადგილობრივ თვითმმართველობაში ნეპოტიზმის ფაქტებზე და ასევე იმ ფაქტზე, რომ თვითმმართველობის საკონკურსო გამოცდებში ჩაჭრილი ადამიანები აგრძელებენ მუშაობას სხვადასხვა თანამდებობებზე, მათ შორის, არის ნ.ქ ამავე დროს არის ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი თანამდებობის პირის ნათესავი.

ა(ა)იპ „მონიტორინგის ცენტრი - მედიატორის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნ.ქ-ს ნასამართლეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადასამოწმებლად, ა(ა)იპ „მონიტორინგის ცენტრი - მედიატორის“ პარტნიორი ორგანიზაციის - ა(ა)იპ „სამართლის თაობის“ მიერ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოსგან გამოთხოვილი იქნა

ინფორმაცია ნ.ქ-თან დაკავშირებულ განაჩენზე. როგორც წერილშია აღნიშნული, ინტერვიუს დროს ორგანიზაციის დამფუძნებელი უთითებს პიროვნების იდენტიფიცირების შეუძლებლობაზე, რადგან პირადი მონაცემები დაშიფრულია. მან გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლოა განაჩენი, რომელიც ნ.ქ-ს სახელზე იყო გამოთხოვილი, სწორედ ხსენებული პიროვნების შესახებ იყო.

საქმის გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, ინსპექტორის აპარატის მიერ გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია ა(ა)იპ „სამართლის თაობისგან“ და თბილისის საქალაქო სასამართლოსაგან ნ.ქ-ს ნასამართლობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავების, მათ შორის, მესამე პირებზე გაცემის შესახებ. ა(ა)იპ „სამართლის თაობის“ მხრიდან რაიმეს სახის ინფორმაცია აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ინსპექტორის აპარატში არ იქნა წარმოდგენილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ინსპექტორის აპარატში წარმოდგენილი წერილიდან ირკვევა, რომ 2015 წლის ზამთარში სასამართლოს მიმართა ა(ა)იპ „სამართლის თაობამ“ და მოითხოვა ცალკეული ფიზიკური პირების, მათ შორის, ნ.ქ-ს მიმართ, გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების/განაჩენის გადაცემა. სასამართლოს წერილობითი პასუხით, განმცხადებელს საჯარო ინფორმაციის სახით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე და 44-ე მუხლების თანახმად, გადაეცა ოთხი განაჩენის ასლი, მათ შორის სისხლის სამართლის №X/XXXX საქმეზე დადგენილი განაჩენის ასლი, პერსონალური მონაცემების გარეშე - დაშტრიხული სახით. ამასთან, სასამართლოს წერილში აღნიშნულია, რომ სისხლის სამართლის საქმეები 2013 წლის საქმეთა ჩათვლით გადაგზავნილია და ინახება საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს დამატებით ეთხოვა ა(ა)იპ „სამართლის თაობის“ მიერ 2015 წლის ზამთარში სასამართლოსათვის წარდგენილი მიმართვისა და პასუხად გაცემული წერილის (დანართების) ასლების წარმოდგენა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილის საფუძველზე, წარმოდგენილი იქნა ა(ა)იპ „სამართლის თაობის“ წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი იქნა ს.ჯ-ს, გ.ს-ს, ნ.ქ-ს და კ.დ-ს მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია. სასამართლოს საპასუხო წერილით ორგანიზაციას გაეგზავნა შემდეგი დოკუმენტები: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის, 2007 წლის, 2009 წლის და 2010 წლის განაჩენის ასლები პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე, დაშტრიხული ფორმით.

ამას გარდა, განცხადებაში მითითებული გარემოებების შესწავლის მიზნით, ა(ა)იპ „მონიტორინგის ცენტრი - მედიატორს“ ეთხოვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში ნ.ქ-ს განცხადებასთან დაკავშირებულ ზეპირ განხილვაზე გამოცხადება, თუმცა ინსპექტორის აპარატში აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენელი არ იქნა გამოცხადებული.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილი პირის მიერ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გასაჯაროების ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც გაეგზავნა ორგანიზაციას გასაცნობად და ხელმოსაწერად. ორგანიზაციის ოფისში მყოფი თანამშრომლის განმარტებით, ოქმის წარდგენის მომენტისთვის ადგილზე არ იმყოფებოდა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირები, რაც დაფიქსირდა სამართალდარღვევის ოქმში, რომლის ერთი ეგზემპლარი უფლებამოსილი პირისათვის წარსადგენად გადაეცა ა(ა)იპ „მონიტორინგის ცენტრი - მედიატორის“ თანამშრომელს.

საქმის გარემოებათა გამოკვლევის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსაგან დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე, გაგრძელდა ნ.ქ-ს განცხადების განხილვის ვადა.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წერილის თანახმად, სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არ ფიქსირდება ინფორმაცია ნ.ქ-ს რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების განხორციელების შესახებ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილის თანახმად, სამინისტროში არ ფლობს ინფორმაციას თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის განაჩენის საფუძველზე ნ.ქ-ს ნასამართლობის შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი

ნ.ქ-ს მიერ ინსპექტორის აპარატში წარმოდგენილი განცხადების და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ინსპექტორმა იმსჯელა ა(ა)იპ „მონიტორინგის ცენტრი - მედიატორის“ მიერ ნ.ქ-ს ნასამართლობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროების, ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გაცემის კანონიერების საკითხზე.

1. ა(ა)იპ „მონიტორინგის ცენტრი - მედიატორის“ მიერ ნ.ქ-ს ნასამართლობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროების კანონიერება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირის ნასამართლობასთან დაკავშირებული მონაცემი წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს. ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემი უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს.

ა(ა)იპ „მონიტორინგის ცენტრი - მედიატორის“ დამფუძნებლის მიერ საგაზეთო ინტერვიუში აღინიშნა, რომ ნ.ქ, რომელიც ამჟამად ადგილობრივი თვითმმართველობაში საჯარო მოსამსახურის თანამდებობას იკავებს, ნასამართლევია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, აღნიშნულის დასადასტურებლად კი მიუთითა თბილისის საქალაქო სასამართლოდან ნ.ქ-ს სახელზე გამოთხოვილი განაჩენი.

როგორც თავად განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის განაჩენიდან ირკვევა, განმცხადებელი ნ.ქ არ არის განაჩენში მითითებული პირი, რადგანაც აღნიშნული ინიციალები არ ემთხვევა განმცხადებლის ინიციალებს, ასევე არ ემთხვევა განმცხადებლისა და განაჩენში მითითებული პირის დაბადების თვე, განმცხადებლის საცხოვრებელ მისამართს (როგორც რეგისტრაციისას, ასევე ფაქტობრივს) წარმოადგენს ქ. თბილისი, განაჩენში კი ფიქსირდება სხვა რაიონი. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში არსებული ინფორმაციით, ნ.ქ-ს სახელზე რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილება არ განხორციელებულა. ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ნ.ქ არ ყოფილა ნასამართლევი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის განაჩენის საფუძველზე. განმცხადებელი თავადაც ადასტურებს, რომ ნასამართლობის შესახებ მონაცემი მას არ ეკუთვნის და ა(ა)იპ „მონიტორინგის ცენტრი - მედიატორის“ მიერ მის შესახებ არასწორი ინფორმაცია გასაჯაროვდა.

ა(ა)იპ „მონიტორინგის ცენტრი - მედიატორს“ არ მოუხდენია განმცხადებლის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გასაჯაროება, რამდენადაც ნასამართლობის შესახებ მონაცემი არ ეკუთვნის განმცხადებელ ნ.ქ-ს. ა(ა)იპ „მონიტორინგის ცენტრი - მედიატორის“ მიერ მოხდა განმცხადებლის შესახებ არასწორი მონაცემების დამუშავება, კერძოდ გავრცელება.

რაც შეეხება ნ.ქ-ს მითითებას განცხადებაში, რომ არასწორი ინფორმაციის გავრცელება ემსახურებოდა მისი სახელის დისკრედიტაციას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. ამდენად, განსახილველი შემთხვევა სცდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კომპეტენციას და წარმოადგენს მხოლოდ სასამართლოს განხილვის საგანს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ პერსონალური მონაცემების (მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების) გაცემის გზით დამუშავების კანონიერება

როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, 2015 წლის ზამთარში ინფორმაციის მომთხოვნს პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე - დაშტრიხული სახით გადაეცა სხვადასხვა საქმეზე მიღებული განაჩენის ასლები. მიუხედავად დაშტრიხული ფორმით ინფორმაციის გაცემისა, მნიშვნელოვანია ის გარემოება,

რომ სასამართლომ ა(ა)იპ „სამართლის თაობის“ მიერ წერილში მითითებული სახელი და გვარი დაუკავშირა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ განაჩენს და ამგვარად გასცა ინფორმაცია. სასამართლომ მითითებული სახელისა და გვარის გათვალისწინებით მოიძია სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენი და არაპირდაპირი ფორმით მოახდინა პირთა იდენტიფიცირება. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ინფორმაციის მომთხოვნს დაუდასტურა, რომ განცხადებაში აღნიშნული პირები (მათ შორის, ნ.ქ) ამავე დროს ცნობილ იქნენ დამნაშავეებად კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის.

მხოლოდ ის ფაქტი, რომ სასამართლოს მიერ მოხდა ოთხ განაჩენში პერსონალური მონაცემების დაშტრიხვა, ვერ იქნება მიჩნეული დეპერსონალიზებული ფორმით ინფორმაციის გაცემის შემთხვევად. დასახელებული კანონის მე-2 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დეპერსონალიზაცია არის მონაცემთა იმგვარი მოდიფიკაცია, რომ შეუძლებელი იყოს მათი დაკავშირება მონაცემთა სუბიექტთან ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებსა და დროს საჭიროებდეს. აღწერილ შემთხვევაში ინფორმაციის ნებისმიერ მიმღებს, ვისთვისაც ცნობილი იყო პირთა სახელი და გვარი, შეეძლო განაჩენში მითითებული ინიციალის მასთან დაკავშირება და ამგვარად - სუბიექტის იდენტიფიცირება, თუმცა სასამართლომ აღნიშნული ჩათვალა საჯარო ინფორმაციად და მაინც მოახდინა მისი გაცემა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნებისათვის აუცილებელი არ არის მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირება მაღალი სიზუსტით. საკმარისია სუბიექტი იყოს იდენტიფიცირებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ, როგორც ამას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს. ა(ა)იპ „სამართლის თაობის“ მიერ დიდი ძალისხმევის გარეშე, მარტივად იყო შესაძლებელი განაჩენში მითითებული პირის ინიციალების დაკავშირება მის მიერ მითითებულ პირთან.

რაც შეეხება სასამართლოს მხრიდან ინფორმაციის გაცემის საფუძვლად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე და 44-ე მუხლებზე მითითებას, ამავე კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა.

თანამდებობის პირთა ჩამონათვალი მოცემულია „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში, რომელიც, თავის მხრივ, მითითებას აკეთებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსზე. ნ.ქ,

როგორც მან განცხადებაშიც მიუთითა, ამჟამად არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურის მოვალეობის შემსრულებელი. ინფორმაციის გაცემისას სასამართლოს არ შეუფასებია ნ.ქ-თან, როგორც თანამდებობის პირთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების საჯაროობის საფუძვლები, მან მხოლოდ სახელსა და გვარს დაუკავშირა განაჩენში მითითებული მონაცემები და ამგვარად მოახდინა მათი გაცემა. აღნიშნული დასტურდება თავად სასამართლოს მიერ ორგანიზაციისათვის გაგზავნილი წერილიდანაც, სადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე და 44-ე მუხლებზე მითითებით ხაზგასმულია მხოლოდ საჯარო ინფორმაციის ღიაობა, გარდა პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო ან კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციისა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 271-ე მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით. ეს კანონი ადგენს პერსონალური მონაცემების, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების, ცნებასა და დამუშავების საფუძვლებს. ინფორმაციის გაცემის დროს, როდესაც სასამართლო არ მოქმედებს სამართალწარმოების მიზნით, სასამართლოს მიერ მონაცემთა დამუშავებაზე ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება. ამ კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. რაც შეეხება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებას (მათ შორის, გაცემის გზით), აუცილებელია არსებობდეს ამ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველი. ამდენად, მიუხედავად იმისა, სასამართლო გასცემდა თუ არა თანამდებობის პირის შესახებ პერსონალურ მონაცემებს, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა გაცემის დროს მას უნდა ეხელმძღვანელა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით და შეეფასებინა, არსებობდა თუ არა ამგვარი ინფორმაციის გაცემის ამ კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ინფორმაციის მომთხოვნის მიერ მითითებული სახელი და გვარი დაუკავშირა განაჩენში მითითებულ სახელსა და გვარს, რითაც მოახდინა პერსონალური მონაცემების დამუშავება, დამუშავებული მონაცემები კი მიაწოდა ა(ა)იპ „სამართლის თაობას“.

პერსონალური მონაცემების დაშტრიხული ფორმით გაცემა არ იყო საკმარისი მონაცემთა დეპერსონალიზაციისათვის, სასამართლომ ინფორმაციის მიმღებს დაუდასტურა მის მიერ მოთხოვნილი და განაჩენში ინიციალებით აღნიშნული პირების მიერ დანაშაულის ჩადენისა და ნასამართლობის ფაქტები. ინფორმაცია უნდა გაცემულიყო იმგვარად, რომ შეუძლებელი ყოფილიყო მათი მონაცემთა სუბიექტთან დაკავშირება ან კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან ან ხარჯებთან ყოფილიყო დაკავშირებული. მოცემულ შემთხვევაში, ინფორმაციის მიმღები პირისათვის მარტივად, ზედმეტი

ძალისხმევის გარეშე იყო შესაძლებელი მის ხელთ არსებულ მონაცემებთან ინიციალების დაკავშირება და პირთა ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის დადგენა.

სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, თუ რამდენად იძლეოდა მის მიერ შერჩეული ფორმით ინფორმაციის გაცემა დეპერსონალიზაციის საშუალებას. ამას გარდა, სასამართლოს ინფორმაციის გაცემისას არ უმსჯელია და არც მიუთითებია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობაზე, აღნიშნული კი იწვევს პასუხისმგებლობის დაკისრებას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

ამავე კანონის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით კი, ადმინისტრაციული სახდელი პირს შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან.

ვინაიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოს მხრიდან პირთა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების საფუძვლის გარეშე გაცემას ადგილი ჰქონდა 2015 წლის ზამთარში, ინსპექტორი სამართალდარღვევის ჩადენის ხანდაზმულობიდან გამომდინარე მოკლებულია შესაძლებლობას დააკისროს მონაცემთა დამმუშავებელს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობა.

3. ა(ა)იპ „სამართლის თაობის“ მიერ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების (გამოთხოვისა და მიღების გზით) კანონიერება

როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ა(ა)იპ „მონიტორინგის ცენტრი - მედიატორის“ მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, 2015 წლის ზამთარში თბილისის საქალაქო სასამართლოს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით მიმართა მისმა ა(ა)იპ „სამართლის თაობამ“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე მოითხოვა განცხადებაში მითითებული ოთხი პირის (სახელის და გვარის მითითებით) მიმართ სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული განაჩენის ასლების გადაცემა.

როგორც ა(ა)იპ „მონიტორინგის ცენტრი - მედიატორის“ მიერ აპარატში წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, მას ა(ა)იპ „სამართლის თაობამ“ გადასცა სასამართლოსგან მიღებული დაშტრიხული განაჩენები, რამაც განაპირობა განმცხადებელ ნ.ქ-ს შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელება. განცხადების განხილვის ფარგლებში ა(ა)იპ „სამართლის თაობის“ მიერ განმარტების წარმოუდგენლობის გამო, ვერ გამოვლინდა

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით დადგენილი მონაცემთა დამუშავების წესის დარღვევის ფაქტი. რაც შეეხება არასწორი ინფორმაციის გავრცელების შედეგად განმცხადებლის სახელის დისკრედიტაციის შეფასების საკითხს, აღნიშნული სცდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კომპეტენციას და წარმოადგენს მხოლოდ სასამართლოს განხილვის საგანს.

4. გაზეთ „X“-ის მიერ ნ.ქ-ს ნასამართლობასთან დაკავშირებული მონაცემების გასაჯაროება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება მედიასაშუალებების მიერ მონაცემთა საზოგადოების ინფორმირების მიზნით დამუშავებაზე.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ღ“ ქვეპუნქტის თანახმად, მედია არის მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალება, მათ შორის, ინტერნეტი.

დასახელებულ შემთხვევაში ნ.ქ-ს ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი საშუალების მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით და ამ დრომდე ხელმისაწვდომია ინტერნეტსივრცეში. აღნიშნული მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე არ ვრცელდება რა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოქმედება, ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი, მედიასაშუალებების მიმართ გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, მათ შორის, მოითხოვოს წაშლა, დაბლოკვა და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-3, მე-5, მე-6, 27-ე, 34-ე, 39-ე, 45-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. დასრულდეს ნ.ქ-ს განცხადებასთან დაკავშირებული წარმოება და ეცნობოს მას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
2. განმცხადებლის, როგორც მონაცემთა სუბიექტის, უფლებებისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვის მიზნით ა(ა)იპ „მონიტორინგის ცენტრი - მედიატორს“ და ა(ა)იპ „სამართლის თაობას“ დაევალოთ, შეწყვიტონ ნ.ქ-ს არასწორი მონაცემების დამუშავება;
3. დაევალოს თბილისის საქალაქო სასამართლოს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არარსებობისას, უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გაცემა

დეპერსონალიზებული ფორმით იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს პირის იდენტიფიცირება პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით;

4. ეცნობოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს, ა(ა)იპ „მონიტორინგის ცენტრი - მედიატორს“, ა(ა)იპ „სამართლის თაობას“ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
5. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

თამარ ქალდანი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი